


ზოგადი ინფორმაცია 2016 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის

და ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ეკონომიკური ზრდა

2016 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.7 პროცენტი შეადგინა, რაც რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სავაჭრო პარტნიორები 2015-2016 წელს კრიზისს განიცდიდნენ (ზოგიერთ მათგანს უარყოფითი ეკონომიკური ზრდა აღენიშნებოდა) და ნეგატიურ გავლენას ახდენდნენ საქართველოს ეკონომიკაზე.

რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები 2016 წელს (წინასწარი)



2016 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 33 921.6 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 6.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით - 9 118 ლარი (3 853 აშშ დოლარი) შეადგინა (მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით)

2016 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი კვლავ ეჭირა კერძო სექტორს. 2016 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 13.3 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 14.6 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 36.3 ათასი ადამიანით.

ფასები

2016 წლისათვის ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 5 პროცენტი იყო. 2016 წელს ინფლაცია კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. შედეგად, წლიური ინფლაცია

მნიშვნელოვნად ჩამორჩა მიზნობრივ მაჩვენებელს და 1.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო 2016 წლის მშპ-ის დეფლატორი 4.0 პროცენტს შეადგენს.

ლარის გაცვლითი კურსი

2016 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 10.5 პროცენტით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურება გამოწვეულია ერთის მხრივ ძლიერი დოლარით, ხოლო მეორე მხრივ შესუსტებული საგარეო მოთხოვნით, რაც მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. აღნიშნულ პერიოდში ლარის ევროსთან გაუფასურებამ 6.8 პროცენტი შეადგინა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს მთავარ სავაჭრო პარტნიორების შეწონილ კურსებთან, გაუფასურდა 3.6 პროცენტით.

საგარეო ვაჭრობა

2016 წელს, საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 350 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.4 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 2 114 აშშ დოლარს შეადგენს (4.1% ნაკლები), ხოლო იმპორტი - 7 236 აშშ დოლარს (0.6% ნაკლები).

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფოს ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2016 წელს მშპ-ს 44.6 პროცენტის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 35.2, ხოლო საშინაო ვალი 9.3 პროცენტია.

ფულადი გზავნილები

2016 წლის მეორე ნახევრიდან ფულადი გზავნილების დინამიკა დადებითი მიმართულებით შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ 5 თვეში ფულადი გზავნილები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, 2016 წელს წმინდა ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით 5.3 პროცენტით გაიზარდა. 2016 წელს წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან 13.5 პროცენტით, ხოლო გაიზარდა ისრაელიდან 87.3 პროცენტით, აშშ-დან - 26.9 პროცენტით, თურქეთიდან 23.5 პროცენტით და იტალიიდან 11.1 პროცენტით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2016 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 5 პროცენტით გაიზარდა და 1 645 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს აზერბაიჯანი (578 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (272 მლნ აშშ დოლარი) წარმოადგენს.

ბიუჯეტი

2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 571 800.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 9 675 506.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.1%.

- ✓ **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 740 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 786 065.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5%.
- ✓ **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 246 800.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 297 304.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 120.5%.
- ✓ **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 585 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 592 137.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.2%.

2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	9,571,800.0	9,675,506.8	103,706.8	101.1
გადასახადები	8,740,000.0	8,786,065.3	46,065.3	100.5
საშემოსავლო გადასახადი	2,525,000.0	2,414,050.3	-110,949.7	95.6
მოგების გადასახადი	980,000.0	1,055,936.5	75,936.5	107.7
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,802,000.0	3,286,393.4	-515,606.6	86.4
აქციზი	1,012,000.0	1,069,658.1	57,658.1	105.7
იმპორტის გადასახადი	75,000.0	70,040.6	-4,959.4	93.4
ქონების გადასახადი	321,000.0	363,401.1	42,401.1	113.2
სხვა გადასახადი	25,000.0	526,585.3	501,585.3	2,106.3
გრანტები	246,800.0	297,304.0	50,504.0	120.5
სხვა შემოსავლები	585,000.0	592,137.5	7,137.5	101.2

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 367 188.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (305 000.0 ათასი ლარი) 120.4%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 81 210.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (60 000.0 ათასი ლარი) 135.4%-ია.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების თვალსაზრისით. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებამ 99.9% შეადგინა, რაც ასევე მაღალი მაჩვენებელია.

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 546 800.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 580 032.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

- გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 980 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 986 750.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1%.

ამასთან, 2016 წლის განმავლობაში გადასახადების სახით მიღებული შემოსავლებიდან დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრების გათვალისწინებით დაბრუნების ქვეანგარიშზე ნაშთის წმინდა ცვლილებამ შეადგინა (-36.4) მლნ ლარი.

2016 წლის განმავლობაში დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართულმა თანხამ შეადგინა 137.5 მლნ ლარი, ხოლო ამ ანგარიშიდან თანხების დაბრუნებამ შეადგინა 173.9 მლნ ლარი.

- გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 246 800.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 296 827.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 120,3%, მათ შორის 97 318.2 ათასი ლარი მობილიზებული იქნა ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით, 143 436.4 ათასი ლარი მიღებული იქნა საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, ხოლო 56 072.4 ათასი ლარი ხაზინის ანგარიშზე რიცხული ე.წ. რეესტრის გრანტების ფარგლებში.

- სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 320 000.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 296 454.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 92.6%.


ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	8,546,800.0	8,580,032.1	33,232.1	100.4
გადასახადები	7,980,000.0	7,986,750.3	6,750.3	100.1
გრანტები	246,800.0	296,827.0	50,027.0	120.3
სხვა შემოსავლები	320,000.0	296,454.8	-23,545.2	92.6

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 246 291.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (225 000.0 ათასი ლარი) 109.5%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 88 717.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (90 000.0 ათასი ლარი) 98.6%-ია.

2016 სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები



სახელმწიფო ვალების აღება და დაფარვა

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 458 983.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- 378 381.9 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 258 151.1 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდაჭერი კრედიტები;
- 822 450.8 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	258,151.1
ADB	258,151.1
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	822,450.8
IFAD	1,042.5
WB	191,067.1

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
EBRD	45,872.5
ADB	275,093.6
EIB	122,913.8
საფრანგეთი	101,188.0
იაპონია	39,436.5
გერმანია	45,836.8
სულ კრედიტები	1,080,601.9

საშინაო ფასიანი ქაღალდები

2016 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 41 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 154 920.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 765 286.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 54.8% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 30.7% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 11.3% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 3.2% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 1 118 091.6 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 739 709.7 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ შეადგინა 378 381.9 ათასი ლარი.

ვალის მომსახურება და დაფარვა

2016 წლის მანძილზე სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 740.1 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 502.5 მლნ ლარი
 - ✓ მომსახურება - 195.0 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 307.5 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულებები - 237.6 მლნ ლარი;
 - ✓ მომსახურება - 202.6 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 35.0 მლნ ლარი;

სარეზერვო ფონდები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით განხორციელდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებიდან თანხის გადანაწილება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში და მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 22 780.5 ათასი ლარით. ასევე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა გაიზარდა 105 300.0 ათასი ლარით. შესაბამისად ფონდის ასიგნებები წლის განმავლობაში სულ გაიზარდა 128 080.5 ათასი ლარით და წლის ბოლოს განისაზღვრა 178 080.5 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 176 697.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ -172 872.7 ათასი ლარი.

✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 4 985.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 4 860.1 ათასი ლარი.

✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 280 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი გაიზარდა 37 000.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდის ასიგნებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს განისაზღვრა 317 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 313 948.8 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 309 196.5 ათასი ლარი.

✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 20 000.0 ათასი

ლართ. საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულებებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 19 999.8 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 18 754.8 ათასი ლარი.

ინფორმაცია 2016 წელს სახელმწიფო ხაზინაში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

დასახელება	მლნ ლარი	
	01.01.2016	01.01.2017
ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	349.5	519.2
ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების ქვეანგარიში	44.0	7.6
სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთი	261.9	250.8
მიზნობრივი გრანტები	12.4	13.3
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	40.9	40.7
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების კუთვნილი თანხები	63.4	73.1
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი	82.7	93.2
კომერციულ ბანკში რიცხული სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები	272.8	185.0
კომერციულ ბანკში რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ნაშთი	188.4	187.2
კომერციულ ბანკებში რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი	152.7	177.7
სულ	1,468.7	1,547.9